“დინამო” (თბილისი) – “ტორპედო” (ქუთისი) 3:1 (0:0)

“დინამო”: გაბელია, გ. მაჩაიძე (ქორიძე), ჩივაძე, სულაქველიძე, ჭილაია (მელიქია), დარასელია, მ. მაჩაიძე, კოპალეიშვილი, მინაშვილი, ყიფიანი, ჩელებაძე (შენგელია).

“ტორპედო”: მჭედლიძე, შუგაევი, გოგოლაძე, შელია, ზ. სვანაძე, ოქროპირაშვილი, ბურკაძე, გორგოძე (თ. სვანაძე), ფესტვენიძე (მხატვარი), ებანოიძე, კვერნაძე.

მსაჯი: ა. ლუსკარეცი (მოსკოვი).

გოლები: მინაშვილი (56–ე წ.), ჩელებაძე (58, 64), მხატვარი (84).

პირველი ტაიმი დაახლოებით თანაბარი ბრძოლით აღინიშნა. მეორე ტაიმში “დინამომ” უფრო სწრაფად დაიწყო თამაში და მისი უპირატესობაც ხელშესახები გახდა. 56–ე წუთზე თბილისელებმა ლამაზი კომბინაცია გაითამაშეს ქუთაისელთა საჯარიმოში, მინაშვილის დამაგვირგვინებელი დარტყმაც ეფექტური და ზუსტი იყო – 1:0. ამის შემდეგ “ტორპედოს” კართან იმატა სახიფათო მომენტებმა. პირველი გოლის შემდეგ სულ ორი წუთი იყო გასული, რომ ყიფიანის მიერ კარისკენ დარტყმულ ბურთს ჩელებაძემ ოდნავ შეუცვალა მიმართულება – 2:0. კიდევ 6 წუთის შემდეგ იმავე ჩელებაძემ მესამედ აიღო კარი.

თამაშის ტემპმა იკლო. მატჩის დასრულებამდე 3 წუთით ადრე “ტორპედომ” მოახერხა მშრალი ანგარიშისგან თავის დაღწევა – ქუთაისელთა კომბინაცია ზუსტად დაამთავრა მხატვარმა – 3:1.

ბ. ირემაძე.
“ლელო”, 5 მარტი, 1980 წ.